

შიდა აუდიტორების მიერ ბანკის საკაპიტალის შემოწმების მეთოდობა

კონდრატ დიმიტრიშვილი
სტუ დოქტორანტი

კაპიტალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ცალკე ბანკების ფინანსური საიმედოობის განმსაზღვრელია, ხოლო ერთობლივი კაპიტალი საბანკო სისტემის მთლიანობაში სტაბილურობისა და პოტენციალის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას იძლევა. კანონმდებლობით ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ანგარიშგებაში შესული მონაცემებიდან დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდის განსასაზღვრავად თვითონ განსაზღვრონ საკრედიტო ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების სიდიდეები.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი ასახავს არსებული საკუთარი წყაროების რისკების დონისადმი ადექვატურობას, რომლებსაც ბანკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში იღებენ თავის თავზე. აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს ბანკის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან მხარეებს და იგი აქციონერებისა და ინვესტორებისათვის ორიენტირებულია. აუდიტორები საკმარისობის მაჩვენებელს აფასებენ როგორც ბანკის ფუნქციონირების შესაძლებლობის ერთ-ერთი ინდიკატორის სახით.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის შემოწმების პროცესი იწყება რისკების იდენტიფიკაციიდან, რაც აუდიტის მოცემული სფეროსათვის არის დამახასიათებელი. შემოთავაზებული მეთოდის თანახმად, ყველა რისკები, რომლებიც ბანკის კაპიტალის საკმარისობის აუდიტთან არის დაკავშირებული, შეიძლება შემდეგ ორ სახეობად დაიყოს:

- რისკები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელზე;
- რისკები, რომლებიც ირიბად ზემოქმედებენ კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის მნიშვნელობაზე.

კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელზე უშუალოდ ზემოქმედებს რისკებს მიაკუთვნებენ მისი გაანგარიშებისას კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდის არაკორექტულად გამოყენების რისკს და აუდიტორის მიერ შეცდომების დაუნახავობის რისკს ფინანსური ანგარიშგების მუხლების დადასტურებისას.

ბანკის ფუნქციონირებაზე მომავალში შესაძლო ზემოქმედ სერიოზულ რისკის სახეობას და რომელიც არც კი ზემოქმედებს აუდიტორულ დასკვნაზე, წარმოადგენს კაპიტალის საკმარისობის დონის ამაღლებაზე მიმართული ბანკის მიერ ჩატარებადი ღონისძიებები არაადექვატურობის რისკის, ბანკის მიერ რისკების პორტფელის მართვისას თავის თავზე მიღებული რისკების დონისადმი. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის საკმარისობის დონის რეგულირება ზემოქმედებს ბანკის მიერ ფინანსურ წყაროებზე როგორც შეიძლება ნაკლების გადახდის შესაძლებლობაზე.

შიდა აუდიტორები ვალდებულები არიან პასუხი გასცენ კითხვას, თუ ბანკმა როგორ შეძლო კაპიტალის საკმარისობის დონის დარეგულირება, თუ არსებული აქტივებთან განსაზღვრული რისკიანი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას არ იძლევა (თუ კი ბანკმა კანონმდებლობით ნებადართული რეგულირების ლეგალური ზერხი აირჩია და საკმარისობის დონე ძირითადი საშუალებების გადაფასების ჩატარების ხარჯზე აამაღლა, მაშინ საჭიროა განისაზღვროს, თუ როგორ მოხდა კაპიტალის საკმარისობის დონის გადიდება და აღნიშნული როგორ იმოქმედებს ბანკის საქმიანობაზე მომავალში.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის გაზრდა შეიძლება მიღწეული იქნას, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი კაპიტალის სიდიდის გაზრდის ხარჯზე (დამატებითი ემისია ჩვეულებრივი აქციების, ბანკის მიერ მოგების მიღებით) და დამატებითი კაპიტალის სიდიდის გადიდების გზით (სინდუცირებული კაპიტალის მოზიდვა, ბანკის ძირითადი საშუალებების გადაფასების ჩატარება). მეორე მხრივ, შეიძლება კრედიტები ბალანსიდან იქნას ჩამოწერილი აქტივების სიდიდის საერთო შემცირების ხარჯზე (მაგალითად, კრედიტების ჩამოწერა ბალანსიდან სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზერვების ხარჯზე, უფრო მაღალი დონის რისკიანი აქტივების ჯგუფის უფრო დაბალ ჯგუფში გადაყვანის ხარჯზე და ა.შ.).

სწორი და უტყუარი წარმოდგენა ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალის შემადგენლების ამსახველი რეალურობის დადასტურებას ითვალისწინებს. აღნიშნული ეხება კაპიტალის ყველა ელემენტს, მათ შორის ბანკის მდგომარეობის ყველაზე ინფორმაციულ მაჩვენებელს – მოგებას. შიდა აუდიტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბანკის ფონდები – ეს მხოლოდ ჩანაწერებია ანგარიშებ-

ზე, ხოლო პრობლემის არსი კი – მიღებული მოგების განაწილებაშია.

შემოწმება მოიცავს შიდა აუდიტის მოქმედების ეტაპობრივი გაცემის პროგრამის გამოყენებას, რომელშიც შედის საკუთარი კაპიტალის ფორმირებისა და ცვლილებების ძირითადი ეტაპების შემოწმება, აგრეთვე ფაქტორებისა, რომლებიც ბუღალტრულ ანგარიშებში საკუთარი კაპიტალის ასახვის უტყუარობაზე ზემოქმედებენ.

შერჩეული აუდიტორული პროცედურების სახეობების მიზანია საკრედიტო დაწესებულების საკუთარი კაპიტალის ელემენტების უტყუარობისა და რეალურობის დადასტურება.

აუდიტორული მტკიცებულებების წყაროს ემსახურება ბანკის დოკუმენტაცია, რომელიც შემოთავაზებულ მეთოდიკაში დეტალურად არის აღწერილი. საბუთებისა და ჩანაწერების შესწავლა ბანკში (ქვედანაყოფში, ფილიალში) საქმიანობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზებისა და შესაბამისი მსჯელობის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

შემოწმების პროცესში შიდა აუდიტის სამსახური ითვალისწინებს ნორმატიული ბაზის ცვლილებებს, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციის წესს ეხება. ძირითად აქტს, რომელიც საკრედიტო დაწესებულებების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის მარეგულირებელია დღევანდელ პირობებში, წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, რომლებიც მოიცავენ საკრედიტო ორგანიზაციების რეგისტრაციის და საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ლიცენზიების გაცემის საერთო წესებს.

ბანკის საკუთარი სახსრების თემატიკური შემოწმების პროგრამა მოიცავს ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების კანონიერების შემოწმებას.

- აუდიტორული მტკიცებულებების წყაროებს მოცემულ ეტაპზე ემსახურებიან:
- სადამფუძნო საბუთები;
- ბანკის საანგარიშსწორებო-საგადასახადო საბუთები;
- მიღება-გადაცემის აქტების;
- საკუთრებაზე უფლებამოსილების შესახებ მოწმობა;
- შეფასების აქტები.

აუდიტორული მტკიცებულებების მიღების მეთოდები მოიცავენ: დოკუმენტალურ შემოწმებას, ანალიტიკურ პროცედურებს, ექსპერიმენტულ შეფასებას, წერილობით მოთხოვნას.

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ბანკის შექმნისა და რეგისტრაციის კანონიერების შემოწმება იწყება საწესდებო კაპიტალის სიდიდის, დამფუძნებლების რიცხვის, მონაწილეების წილის განსაზღვრიდან.

საბანკო ოპერაციების კანონმდებლობასთან, წესდებასთან და ლიცენზიებთან შესაბამისობის შემოწმებისას ბანკის წესდებით გათვალისწინებული ოპერაციებისა და გარიგებების შესაბამისობა დგინდება.

ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებით ოპერაციების აუდიტიისას მტკიცებულებების წყაროებს წარმოადგენენ:

- ემისიის პროსპექტები;
- აქციის შეძენაზე ხელშეკრულებები;
- საანგარიშსწორებო-საგადასახადო საბუთები;
- ანგარიშებიდან ამონაწერები;
- აქციონერების კრებების ოქმები;
- ანგარიშგებები ემისიის ჯამის შესახებ.

შემოწმება ხორციელდება ექსპერტული შეფასების მეთოდით, ზედაპირულად გადახედვის, საბუთიერი შემოწმებისა და არითმეტიკული გაანგარიშებით.

ბანკის შექმნისას გამოშვებული აქციების გადახდა უნდა იქნას შემოწმებული, რომ ვადები და გადახდის პრინციპი იქნას განსაზღვრული (განვადებით გადახდა დაუშვებელია). ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული აქციების განთავსების ფასზე (მხოლოდ ნომინალური ღირებულებით), ბუღალტრულ აღრიცხვაში აქციები მხოლოდ ლარების ექვივალენტში უნდა იყოს შეფასებული. დგინდება პრივილეგირებული აქციების წილი, დამატებითად გამოშვებული აქციების განთავსება, მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისწორე.

შემოწმებას ექვემდებარება ოპერაციები ბანკის საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლებიც იწყება საწესდებო კაპიტალის ცვლილების (შემცირების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შესწავლიდან, რომელიც შეიძლება აქციის ხარისხის ან აქციის ნომინალის შემცირების გზით განხორციელდეს.

საწესდებო კაპიტალის გადიდება ხორციელდება საკუთარი სახსრების კაპიტალიზაციის და დარიცხული, მაგრამ ჯერჯერობით გადაუხდელი დივიდენდების ხარჯზე, რაც ბანკის წესდებაში დოკუმენტალურად უნდა იყოს დადასტურებული და სწორად ასახული ბუღალტრულ აღრიცხვაში.

დამატებული კაპიტალის ფორმირების წყაროების შემოწმება ხორციელდება ექსპერტული შეფასების მეთოდით, დოკუმენტალური შემოწმებისა და არითმეტიკული გაანგარიშების დახმარებით. კონტროლის პროცედურას ექვემდებარება ისეთი საბუთები, როგორიცაა:

- სინთეტიკური და ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრები;
- ჩუქების ხელშეკრულებები;
- ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენა-გადაცემის შესახებ აქტები, შეფასების აქტები;
- საანგარიშსწორებო-საგადასახადო უწყისები.

სარეზერვო ფონდის ფორმირებისა და გამოყენების შემოწმება ხორციელდება ძირითადად საბუთური შემოწმების მეთოდებით და ბანკის წესდების არითმეტიკული გაანგარიშების, აქციონერების კრების ოქმების, ანგარიშებიდან ამონაწერების, აგრეთვე სინთეტიკური და ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრების საფუძველზე.